ცნობის ფურცელი

VI წ. უოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 23 აგვისტო № 1561

გაზეთი ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიპოვის სახლი № 1.

სააქციონერო საზოგადოების ფაბრიკის საწერ-ქაღალდის საწყობი
გ. ი. პალლიზენისა
20 აგვისტოდან გადადის ახალს სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე, ტფილისის სობრანიის ქვეშ, თავ. მუხრანსკისეულ მანთაშევის სახლში. (5—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა.
დილით:
გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ტ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ნ. ა. მელიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
მ. გ. ფოლდაროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
გ. დ. მარკოვიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.
ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ·)

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა
ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.
ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ ყმაწვილებს ზემდემერის და იუნკრის სკოლებისათვისაც. (16—1)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი. ტელეფონი. 791.

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.
ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—3)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

თავ. ავალიშვილს ებოძა შტაბს კაპიტნობა და დაინიშნა ქ. პეტროვსკის პოლიცმეისტრად და საერობო დარაჯთა უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის ჩინით პენსიითა და მუნდირით ნოვო ბაიაზეთის 293 ქვეითა ჯარის კაპიტანი მესხი.

ებოძათ ქუთაისის საერობო დარაჯთა უმცროს ჯარის კაცთ მენდლები გულზე სატარებლად ზედ წარწერით „გულს მოდგინეობისათვის“ შემდეგ პირთ: მილიციის იუნკერს თავ. ლევან გურიელს ოქროს მენდალი; ვერცხლისა მეგრელიძეს, გოგიტიძესა და მემარნეს.

ქალაქის საიუბილეო კომისია და მცხოვრებთა უაღრესი საჭიროება

ტფილისის საქალაქო საბჭომ გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას მიანდო იმის განხილვა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილე. თვით საბჭომ აღნიშნა კიდეც უმთავრესი მუხლები დღესასწაულის პროგრამისა და აგრეთვე იმისა, რით უნდა სახსოვარ ჰყოს ქალაქმა ეს ღირს-შესანიშნავი დღე. ჯერჯერობით ეს საკითხი გადაუწყვეტელია და საბჭოს, ალბად, ხელახლავ დასჭირდება ამ საგნის გარჩევა და დაბოლოვება. კომისიას, რომელიც მან აირჩია, უკვე ჰქონდა რამდენიმე სხდომა, მაგრამ ეს სხდომები მოანდომა დღესასწაულის გარეგნობით მოწყობას. ჩვენს გაზეთში გუშინ-წინ კიდეც დაიბეჭდა, რა დაადგინა ამ მხრით კომისიამ: ქალაქის გაჩირაღდნება, ნადიმი და სხვა ამ გვარი. რაც შეეხება რამე სასარგებლო საქმეს, რომლითაც უნდა აღინიშნოს მომავალი დღესასწაული, ჯერ ამაზე მას სჯა არა ჰქონია. ჩვენის ფიქრით კი, კომისიამ ამ მხარეს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

იმის შესახებ ლაპარაკი, რომ ისეთს მნიშვნელოვანს იუბილეს, როგორც არის საქართველოს რუსეთთან შეერთება, ღირსეული აღნიშვნა უნდა, მეტად მიგვაჩნია. ჩვენმა ქალაქმა აღუნიშნავად არ დასტოვა სხვა დღესასწაულები, რომლებსაც კერძოდ, ჩვენის მხარისთვის, ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგალითად, როგორც პუშკინის დღესასწაული იყო; მომავალი იუბილე კი მრავალ გვარად მნიშვნელოვანია და მისი აღნიშვნა მარტო ნადიმ საუზმეებით შეუფერებელი იქმნება.

ასე უყურებს ამ საქმეს თვით საბჭოც, რომლის კომისიამ რამდენიმე პროექტი შეიმუშავა სხვა-და-სხვა საყოველთაო საჭიროებისა და სასარგებლო დაწესებულების შესახებ. რაკი ეს ასეა, რაკი საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა და საჭიროდ სცნო იუბილეს დღესასწაული სასარგებლო საქმით აღინიშნოსო, ჩვენა გვგონია—კომისიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს უმეტესად ეს მხარე, მის უმთავრეს ყურადღებასა და ზრუნვას უნდა იწვევდეს ის საქმე, რომლითაც შეიძლება სახსოვარ ვყოთ მომავალი დღესასწაულო.

ამის გამო, როგორც ვთქვით, საქალაქო თვით-მმართველობის წრეებში კიდეც იყო სჯა-ბაასი. ბევრი ითქვა უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკუმის, სამრეწველო მუზეუმის და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა შექმნის საჭიროებაზე, მაგრამ საქმე არ დაბოლოვებულა, ესე იგი, მტკიცედ არ აღნიშნულა, სახელდობრ რა უნდა მოეწყოს და გაკეთდეს. ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა კომისიამ კვლავ გადასინჯოს ეს საკითხი და გამოსძებნოს ის უაღრესი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილება სასარგებლო იქმნება ქალაქის მცხოვრებთათვის და ამასთანავე ღირსეული აღნიშვნა იქმნება დღესასწაულისა. ამ გვარ საჭიროების გამოძებნა ძნელიც არ არის; თვით საბჭომ გაუადვილა კომისიას ეს საგანი მით, რომ სწავლა-განათლების საქმეზე მიუთითა: უნივერსიტეტი ან პოლიტეხნიკუმი, სამრეწველო მუზეუმი და სხვა ამგვარი—აი, რა არჩია საბჭომ და რა გზას დააყენა კომისია. უკანასკნელმაც, ჩვენის ფიქრით, სწავლა-განათლების საქმეს არ უნდა უღალატოს, მაგრამ უნდა შესცვალოს საქმის მიმართულება.

ვინ იტყვის, რომ ჩვენ უმაღლესი სასწავლებელი არ გვეჭირვებოდეს? ამ საჭიროებას ჩვენი მხარე კარგა ხანია გრძნობს და ამაზე ბევრიც დაწერილა, ბევრიც თქმულა და ბევრი შუამდგომლობაც აღძრულა. თვით მთავრობაც პრინციპიალურად არ არის ამის წინააღმდეგი (მაგალითად, მან მოიწონა პოლიტეხნიკუმის დაარსების აზრი), მაგრამ ჯერ-ჯერობით, ფინანსიურ მოსაზრებათა ძალით, უდროოდ სცნო უმაღლეს სასწავლებლის დაარსება ჩვენში. უეჭველია, ჩვენ ამ საქმეზე ფიქრსა და ზრუნვას ვერ მივატოვებთ; ამ საქმეს კვლავაც ენერგიულად უნდა ვესარჩლოთ, მაგრამ ამავე დროს და უპირველესადაც მეორე საქმის მოწყობაზე უნდა ვიზრუნოთ.

უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები ჩვენს დროში უმთავრესად აკმაყოფილებენ მდიდარ და შუათანა შეძლების ელემენტების საჭიროებას; ღარიბი ელემენტები-კი, რომელნიც შეადგენენ მცხოვრებთა უმეტესობას, ჯერ-ჯერობით სარგებლობენ მხოლოდ დაბალ და პირველ-დაწყებით სკოლებით-საუბედუროდ და ჩვენდა სასირცხვილოდ, მათ არც ამ სკოლებით შეუძლიან სავსებით ისარგებლონ: დიდძალი ბავშვი ხალხისა სკოლაში ადგილს ვერ შოულობს და, რადგან ოჯახში სწავლას ვერ იღებს, სრულიად უმეცარი რჩება. სწორედ სირცხვილია განათლებულ საზოგადოებისა, რომ მეოცე საუკუნეში მის გვერდით ათასსა და ათიათასს ბავშვს უბრალო წერა-კითხვის შესწავლის სახსარიც არა აქვს! განათლებულ ქვეყნებში ამგვარ ანომალიას ვერ შეხვდებით: იქ, პირველ დაწყებითი სწავლა მაინც, სავალდებულოა ყველასათვის; ბავშვი უთუოდ დაამთავრებს პირველ დაწყებით სკოლას მაინც. რუსეთშიაც რამდენიმე წელიწადია წამოყენებულია წინ ეს საკითხი და მხოლოდ ფულის უქონლობა აბრკოლებს. ხოლო, სანამ სახელმწიფო აღასრულებდეს ამ დიად საქმეს, რუსეთში ზოგიერთ საერობო დაწესებულებათ და ქალაქის თვით-მმართველობათ განიზრახეს ხალხის დახმარება და სკოლებით მოჰფინეს თვისი რაიონები. პეტერბურგი, მოსკოვი, ტომსკი და ზოგიერთი სხვა ქალაქები მეტად მხნედ მოღვაწეობენ ამ მხრით და იქ ხალხის მოზარდ-თაობის დიდ უმეტესობას სკოლის კარები არა აქვთ დახშული.

ტფილისი-კი ამ საქმეში მეტად ჩამორჩენილია. აქ მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაარსდა რამდენიმე სკოლა, თორემ წინად ეს საქმე სწორედ ერთ წერტილზე შეჩერდა. აწ არსებული პირველ დაწყებითი სკოლები და საქალაქო სასწავლებელნი თითქმის სრულიად ვერ აკმაყოფილებენ ხალხის საჭიროებას. ხალხმა გამოიღვიძა, სწავლა-განათლების წყურვილი გაუძლიერდა მას და წინანდელ საშუალებით ამ წყურვილის დაკმაყოფილება აღარ შეიძლება. ყოველ წელს გვესმის ჩივილი, რომ საქალაქო სასწავლებლებში და პირველ დაწყებით სკოლებში ადგილი არ არის; წელსაც, როგორც სჩანს გაზეთების ცნობებიდან, იმავე სამწუხარო გარემოებას აქვს ადგილები. ნუ-თუ ამგვარი მოვლენა საკადრისია ქალაქისთვის, რომელსაც ერთ მილიონ მანეთზე მეტი ბიუჯეტი აქვს?! ნუ თუ ამგვარი სამწუხარო გარემოება შეშვენის იმ განათლებულ საზოგადოებას, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებას თხოულობს და სხვა-და-სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა დაარსებას აპირებს!?

დიახ, უაღრესი საჭიროება ჩვენის ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობისა არის დღეს მოზარდ თაობის აღზრდა და სწორედ ამ საქმეში უნდა დაეხმაროს ქალაქი მას. ქალაქის ერთი უდიდესი მოვალეობათაგანი არის ეს საქმე და ამიტომ მას ჰმართებს ისარგებლოს დღევანდელის შემთხვევით, გამოსძებნოს საშუალებანი და გააძლიეროს ხალხის სწავლა-განათლების საქმე როგორც სკოლებში, ისე სკოლის გარედ. ეს იქმნება საუკეთესო აღნიშვნა მომავალ დღესასწაულისა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

21 აგვისტო.

პეტერბურგი. მის უდიდებულესობის თხოვნათა კანცელიარიის მმართველი ბარონი ბუდბერგი წავიდა პეტერბურგიდან და მიანდო თავისი თანამდებობა თავის ამხანაგს მამონტოვს.

მოსკოვი. მოსკოვის, კიევის და ვორონეჟის რკინის გზის სამმართველოში პოლიციამ აღმოაჩინა ბოროტ მოქმედება სამის მოხელისა, რომელთაც 6000 მანეთი აუღიათ სიყალბის ჩადენით. დოსტოევსკის ქვრივმა შესწირა ისტორიის მუზეუმს ქაღალდების დიდი შეკვრა, რომელიც ეკუთვნის განსვენებულ მწერალს.

ნიჟნი ნოვგოროდი. 20 აგვისტოს ეპისკოპოსმა ნაზარიამ გახსნა სამისიონერო კრება. კრებაზე 50 დამსწრეა.

ნოვოროსიისკი. 20 აგვისტოს გათავდა სასოფლო მეურნეობის შესახები თათბირი, რომელიც მოხდა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მინდობილობით. დაადგინეს იშუამდგომლონ მევენახეობისათვის საწყობების დაარსება. კრებამ აგრეთვე საჭიროდ იცნო ბაღოსნობის და მიწად-მოქმედების იარაღების საწყობების გამართვა, ნერგების და თესლის დარიგება და საუბრებისა და მაჩვენებელ სანერგეების მოწყობა.

ბორისოგლებსკი. ბაზარზე ბევრია მოტანილი ზეთიანი მზე-უმზირა. მისი მოსავალი საშუალოზე მეტია. ფასები—1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კ. ფუთი.

კოპენჰაგენი. ორის ნახევარზე მეფე და მთელი სამეფო გვარი სტუმრებით საგანგებო მატარებლით ფრედენსბორგიდან გელსინგერში წავიდნენ ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის შესახვედრად. ორ საათზე საიმპერატორო იახტა „შტანდარდი“ დადგა გელსინგერის რეიდზე და მეფე-დედოფალი ნავით ნავთსადგურისაკენ გაემართნენ. ქალაქი გელსინგერი მორთულია ბაირაღებით.

გელსინგერი. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული მოვიდნენ სამის 5 წამზე და ნავთსადგურში მათ მიეგებნენ მეფე ქრისტიან, დანიის მემკვიდრე პრინცი და საბერძნეთის მეფე, რომელთაც რუსული მუნდირები ეცვათ. ხელმწიფე იმპერატორმა, რომელსაც თან მიჰყვებოდნენ მეფე და პრინცები, ჩაუარა საპატიო დარაჯებს; მუსიკა უკრავდა რუსულ ჰიმნს; შემდეგ ყველა უავგუსტოესი პირები საგანგებო მატარებლით ფრედენსბორგისაკენ გაემგზავრნენ. დიდძალი ხალხი აღტაცებით აცილებდა წამსვლელთ.

ლონდონი. რუსეთის წარმომადგენელმა გოლდბერგმა განუცხადა სამხრეთ-აფრიკის კამისიას, რომ მას სურს შეასწოროს ზოგიერთი ციფრები, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში იყო მოყვანილი. იგი ამბობს, რომ ყველა მისგან წარმოდგენილი საჩივარის რაოდენობა უდრის 10,175 გირვანქა სტერლინგს.

ბერლინი. ჩინეთის დესპანები წავიდნენ ბერლინისაკენ საღამოს 11 საათზე.

ლონდონი. 18 აგვისტოს ტიანძინიდან იტყობინებიან, რომ გამოსცვალეს ბრძანება ტიანძინიდან მესამე ბომბეის კავალერიის პოლკის გაყვანის შესახებ.

ბერლინი. „ოსტაზიატიშე კორესპონდენც“-ი იტყობინება ჩინეთის დესპანების მოსვლის გამო: „ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ გერმანიის იმპერატორმა, საკუთარის ინიციატივით შეატყობინა პრინც ცუნს, რომ მიიღებს მას პოტსდამში მხოლოდ ერთის თარჯიმანის თანახლებით. პრინცმა დეპეშით მადლობა გადაუხადა იმპერტორს. აუდიენცია მოხდება ოთხშაბათს, ან ხუთშაბათს“.

ტრომსე. ადმირალი მაკაროვი, კომანდირი, აფიცრები და მატროსები გემ „ერმაკისა“ და აგრეთვე სამეცნიერო ექსპედიციის წევრნი, დაბრუნდნენ მოგზაურობიდან და უგზავნიან მოკითხვას მშობლებსა და ნაცნობებს. ყველანი კარგად არიან.*)

პეტერბურგი. მისი უმაღლესობის ლეიხტენბერგის ჰერცოგის მთავარი ევგენი მაქსიმილიანის ძე რომანოვსკის გვამი 21 აგვისტოს მისი უმაღლესობის სასახლიდან ალექსანდრე ნეველის ლავრაში გაასვენეს და დაკრძალეს.

ტვერი. ტვერში 21 აგვისტოს ხელმწიფე-მემკვიდრე მობრძანდა. მემკვიდრე საგანგებო მატარებლით პირველ საათზე მობრძანდა, სადგურზე უფროსები მიიღო და საკრებულო ტაძარში წაბრძანდა; თან გუბერნატორი ახლდა. ტაძარში არქიეპისკოპოსი დიმიტრის მეთაურობით სამღვდელოების კრებული მიეგება. არქიეპისკოპოსმა მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კეთილ-მორწმუნე დიდი მთავარი მიხეილ იაროსლავეულისა და ტვერელის წმინდა ნაწილს ემთხვია. მემკვიდრე იმპერატორმა სასახლეში გუბერნიის უფროსი ინახულა, ისაუზმა და მესამე საათზე პეტერბურგში წავიდა. სადაც კი მემკვიდრეს გავლა მოუხდა, ქალაქის მცხოვრებლები ყველგან აღტაცებით ეგებებოდნენ.

პეტროზავოდსკი. სიცხე-პაპანაქებისა და გვალვის შემდეგ ტემპერატურამ 7 გრადუსამდე იკლო. ხანდახან წვიმა მოდის.

ლოძი. პეტროკოვის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გლეხი თომას ხაინაცკის საქმე გაარჩია. ხაინაცკის 72 წლის დედაკაცი მოეკლა და გაეცარცვა. სასამართლომ ხაინაცკის 12 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

კიევი. დესტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ქვრივს გარდაცვალებულს მარიამ ესიკორსკისას საერო განათლების საქმეებისათვის და სამი ეკკლესია-სკოლის ასაგებად ასი ათასი მანეთი შეუწირავს; ამას გარდა 6,000 მანეთი შეუწირავს, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სტიპენდიები დაარსდეს.

ლონდონი. გუშინ ლონდონში იოჰანესბურგის ციხის უფროსად ნამყოფი დოქტორ კრაუზე დაატუსაღეს. კრაუზეს ჯაშუშობას აბრალებენ. შარშან კრაუზემ იოჰანესბურგი რობერტსს ჩააბარა, ინგლისს ერთობა შეჰფიცა და უკანასკნელი ოთხი თვე ლონდონში სცხოვრობდა. ნივთებიც ჩამოართვეს. დღეს დილით ბოუსტრიტში პოლიციაში დაიბარებენ.

პარიზი. «მატენ»-ს კერძო წერილებით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან, რომ ერთ დიდ სახელმწიფოს ხონთქარი უნუგეშებია და დაჰპირებია, გამოგესარჩლებიო. ხონთქარი სრულებით დამშვიდებულია და დათმობის გუნებაზე არ არის. გაზეთი ამბობს, რომ ხონთქარი მალე დარწმუნდება, რომ ამ საქმეში ძალიან სცდებაო.

«რაპელის» სიტყვებით, ოტომანის მთავრობას გერმანელი ინჟინერის სამუშაო მასალა დაუჭერია. ამ ინჟინერს მადნის შემუშავების კონცესსია ჰქონია. გერმანიის ელჩმა ოტომანის მთავრობას გადაწყვეტილი პროტესტი გამოუცხადა.

პარიზი. ელისეს სასახლეში მინისტრთა საბჭოში შეუმუშავებიათ ხელმწიფე იმპერატორის დახვედრის პროგრამმა. დელკასსემ აცნობა მინისტრებს ოსმალეთის უთანხმოების საქმის მიმდინარეობა. «ჰავასის სააგენტო» ამბობს, რომ, მიუხედავად ოსმალეთის დაჰპირებისა, საფრანგეთის არც ერთი თხოვნა არ აასრულა, მაგრამ საფრანგეთის ელჩს ბრძანება მოუვიდა, კონსტანტინეპოლიდან წამოდიო. ხოლო ოსმალეთის ელჩს, რომელიც პარიზში იმყოფება, გამოუცხადეს, რომ მისი დგომა პარიზში უსაფუძვლოა.

კოპენჰაგენი. კრეისერ «ვარიაგს», რომელიც აქაურ რეიდში იმყოფება, ბრძანება მოუვიდა, ხელმწიფე იმპერატორს დანციგში თან იახლოს.

პოტსდამი. პრინცი ცუნი მოვიდა აქ საგანგებო მატარებლით. სადგურზე ქალაქის დირექტორები მიეგებნენ პრინცს. სადგურიდან პრინცი გაემგზავრა ეტლით პარკის ორანჟერეის შენობისაკენ. როგორც ლაპარაკობენ, იმპერატორი ხვალ მიიღებს პრინც ცუნს ახალ სასახლეში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ამას წინად კონსერვატორი დეპუტატი ბიჩი გარდაიცვალა და წარსულ ორშაბათს მის მაგიერ სხვა ამოარჩიეს. ეს საარჩევნო ოლქი—ანდოვერი,—1885 წლის აქეთ უცილობლად კონსერვატორებს ეკუთვნოდა. ეხლა ამომრჩევლებს ორი კანდიდატი ჰყავდათ: ლიბერალი ჯედი და უნიონისტი ფაბერი. გამარჯვება ამ უნიონისტს დარჩა. მაინც არჩევანმა დაამტკიცა, რომ უნიონისტებს მეტად ბევრი ამომრჩეველი გადაჰქდომია: 1885 წ. კონსერვატორმა 1,451 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა, ეხლა კი მარტო 223 ხმით აჯობა თავის მოწინააღმდეგეს.

✡ ქალ. ლივერპულის ლიბერალების მეთაური და ეროვნულ-ლიბერალური ფედერაციის თავმჯდომარე ედვარდ ევანსი თავის თანამდებობიდან გადგა. ევანსს ომის თაობაზე უთანხმოება მოსვლოდა ლიბერალებთან, უფრო იმპერიალისტებს თანაუგრძნობდა.

✡ ერთი კვირა იქნება მას აქეთ, რაც ქალ. დუბლინში კელტიის მოდგმის ყველა ერის წარმომადგენლებმა კრება მოახდინეს. კრებას დაესწრნენ ირლანდიელები, შოტლანდიელები, უელსელები, კორნუელელები, კუნძულ მანის მცხოვრებლები და ბრეტონელები. კრებას მსჯელობა ჰქონდა იმის თაობაზე, თუ რა ღონის-ძიება და საშუალება მოეხმაროთ, რომ კელტური ენის სხვა და სხვა კილო, სახალხო თქმულება, სიმღერა, თამაშობა, მორთულობა და სხვ. ამისთ არ დაიკარგოსო. ინგლისურმა გაზეთებმა სასაცილოთ აგდეს ეს კრება, მაგრამ გერმანული გაზეთები, ამათში «ალგ. ცაიტ.»-იც უმტკიცებენ ინგლისელებს, კელტების შეერთებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებაო.

საფრანგეთი. ჩვენ მკითხველებს ახსოვთ, რომ ამას წინად მონსოლემინში სოციალისტი ბუვერი აირჩიეს დეპუტატად. სოციალისტის გამარჯვებას მეტად გაუცხარებია თურმე რეაქციონური გაზეთები. რეაქციონერები მოელიან, მომავალ საზოგადო არჩევნის დროსაც ყველა დემოკრატები ისე შეერთდებიან, როგორც მონსოლემინში შეერთდნენო, და მედგარ წინააღმდეგობას გაგვიწევენო. ამის თაობაზე «რუსსკიე ვედომოსტი»-ის კორესპონდენტი იწერება.

«ორლეანისტების გაზეთ «სოლეილ»-ში ერთმა კონსერვატორმა წერილი დაბეჭდა. ეს კონსერვატორი გავლენიანი მწერალი ფელისიენ პასკალია. პასკალს კარგა ხან უცხოვრია სოფელში, კარგად გაუცვნია ხალხის მიმართულება და იქიდან მეტად დაღონებულ და დაძმარებულ გუნებაზე დაბრუნებულა პარიზში. პასკალმა საჭიროდ დაინახა, თავისი ნახული და გაგონილი მკითხველებისათვისაც გაეზიარებინა. ის დეპარტამენტი, სადაც პასკალს უცხოვრია, ხუთმეტი წლის წინად აზნაურებსა და დიდი შემამულებს ეჭირათ ხელში აზნაურებს აქა-იქ, შიგა და შიგ ეხლაც შეარჩენიათ გავლენა, მაგრამ რამდენიც ახალი არჩევნები მოდის, ეს გავლენაც იმდენი უფრო და უფრო სუსტდება. ხალხი მელინისტებისა და ნაციონალისტების მხარეს კი არა, პირდაპირ რადიკალების მხარეს გადადის. რა მიზეზია, რომ ხალხი ასე მოულოდნელად გადაუდგა კონსერვატორებსაო, ჰკითხულობს ავტორი და თითონვე ასეთ პასუხს იძლევა: ამომრჩეველთა უმეტესობა მეტად მტრულად უცქერის კლერიკალებს, მელინისტებს და ნაციონალისტებს და ყველა იმ სურვილითაა აღფრთოვანებული, რომ ამ რეაქციონერებს გზა შეუკრას და მმართველობის ძალა და უფლება ხელში არ ჩაუგდოს. ავტორი სწერს: «სოციალისტებისას თვით მდიდარ ხალხსაც კი აღარ ეშინიან. აქაურ რესპუბლიკელებს სულაც აღარ ეშინიათ უკიდურესი აზრებისა, საშიშრად მარტო კლერიკალები მიაჩნიათ და მარტო ამ კლერიკალებს ებრძვიან. კლერიკალებზე ნაკლებ არც თუ მელინისტები, მონარქისტები და ნაციონალისტები ეჯავრებათ. აქაური რესპუბლიკელები ამბობენ: «რესპუბლიკა ოღონდ თავის მტრებს და მოწინააღმდეგეებს კი ნუ ჩაუვარდება ხელში და დეე ისევ სოციალისტებმა გაიმარჯვონო. რესპუბლიკელები ყველგან შეერთდნენ. ყველა, როგორც ერთი კაცი, კლერიკალებსა და მათ მოსარჩლეებს ებრძვის; ასე რომ აქაური ხალხი ორ დასად გაიყო და ამ დასების მორიგება და შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია. საზოგადოდ ეხლა პროვინციაში რადიკალებს ირჩევენ, მაგრამ თუ რესპუბლიკის დასაცველად საჭიროდ დაინახეს, აქაური ამომრჩევლები სოციალისტებსაც უყოყმანოდ აირჩევენ.»

კორესპონდენტი უმატებს: «ნუ დაგვავიწყდება, ამას კონსერვატორი ლაპარაკობს, და არა რადიკალი, ან სოციალისტი; [illegible] ცნობა ავტორს კონსერვატორებისაგან გაუგია, თანაც ავტორი თავის წერილს მეტად გულნატკენი შეწუხებულის კილოთი სწერს, ამიტომ ადვილად მიჰხვდებით, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს წერილი კონსერვატორებზე და კლერიკალებზე და როგორ გუნებაზე დააყენებდა პარპაშობას დაჩვეულს ვაჟბატონებს.»

✡ «ინდეპ. ბელჟ»-ს გაუგია: საფრანგეთის მთავრობას ფიქრადაც არა ჰქონია, რომ უმაღლესი სასამართლოსაგან დასჯილ პირებისათვის საფრანგეთში დაბრუნების ნება მიეცა. ამ გაზეთის კორესპონდენტისათვის რესპუბლიკის ერთ-ერთ გავლენიან პირს უთქვამს:

«ლიურ სალიუსი ეს იყო დაისაჯა და აბა ასე მალე პატიება როგორ შეიძლება. საზოგადოება არც პატიებასა თხოულობს, არც ამნისტიას. დასასრულ, ან დერულედი და გერენი რისთვის უნდა დავაბრუნოთ, როდესაც ეს ვაჟბატონები თითონაც არა ჰმალვენ და აშკარად აცხადებენ, ისევ ჩვენ გმირულ საქმეებს უნდა შევუდგეთო. ზოგიერთი იმასაც ამბობს, ვითომ ამ საქმეებზე ლუბეს და სამინისტროს უთანხმოება მოჰსვლოდეთ. მაგრამ ეს რეაქციონერებისაგან მოგონილი ჭორია და სხვა არაფერი.»

ავსტრ-უნგრეთი. უნგრეთში საარჩევნო ბრძოლა დაიწყო. დეპუტატმა გორინსკიმ ამომრჩევლების წინ ილაპარაკა. გორინსკის ნათქვამს ყველა გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს, რადგანაც ეს დეპუტატი მეტად დაახლოვებულია პირველ-მინისტრ სელსთან და იქნება მინისტრადაც კი დაინიშნოს. გორინსკის უთქვამს: «ჩვენ ლიბერალურ პროგრამმას არ უნდა ვუღალატოთ. ლიბერალიზმმა დიდი სახელი შესძინა უნგრეთს და ამას იქით უფროც ასახელებსო». ამის შემდეგ დეპუტატმა ეკონომიურ საქმეებზე ილაპარაკა. მთავრობამ უნდა ითავოს და ყველასათვის სასარგებლო არხების, გზების გაყვანას შეუდგესო და სოფლის მეურნეობას და მრეწველობას უფრო მხნედ უნდა ხელს უწყობდეს და ეხმარებოდესო. გერმანიის სადამოჟნო ტარიფის პროექტის თაობაზე გორინსკიმ სთქვა: ამ პროექტით გერმანიამ ყველა სახელმწიფოებს ომი გამოუცხადაო. უნგრეთიც სხვებივით თავის-თავის დასაცველად უნდა დაემზადოსო.

✡ ამ ცოტა ხანში ჩეხებს ერთი გამოჩენილი მოღვაწე მოაკლდათ: მლადოჩეხი დეპუტატი იოსებ კაიცლი გარდაიცვალა. დიდი დასაკლისი დააკლდა მლადოჩეხების დასს. კაიცლი მეტად განათლებული, ნიჭიერი და მხნე მოღვაწე იყო. სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა, კაიცლი პოლიტიკური ეკონომიის პროფესორად იყო პრაგის უნივერსიტეტში. აარჩიეს თუ არა დეპუტატად, კაიცლის ცოდნასა და ნიჭს მთავრობამაც მალე მიაქცია ყურადღება და გრაფ ტუნმა ფინანსთა მინისტრად დანიშნა თავის კაბინეტში. კაიცლი უკიდურესი აზრების მიმდევარი არ იყო. როგორც იტყვიან, არც მწვადს სწვავდა და არც შამფურს. თავის ერის ინტერესებსაც თავ-გამოდებით ესარჩლებოდა, ამავე დროს შოვინიზმი და ეროვნული სიძულვილიც სძაგდა. გერმანელ შოვინისტებს და ცენტრალისტებს მედგრად ებრძოდა, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის ამტკიცებდა, უსათუოდ უნდა მოურიგდეთ გერმანელებსაო. როდესაც სხვა მლადოჩეხებს რისამე დათმობა გასაგონადაც კი ეჯავრებათ, კაიცლი იმ აზრისა იყო, ნიადაგ უსიამოვნება და უთანხმოება არც ჩეხებს დააყრის ხეირს და არც გერმანელებსაო. ამიტომ ნიადაგ მიჭყივილ-მოჭყივილს, ნიადაგ კინკლაობას, სჯობს გერმანელებს თავისი მიეცეს და ჩვენ ჩვენიო. კაიცლი დიდი წინააღმდეგი იყო ობსტრუქციისა; ამბობენ, მომეტებულ ნაწილად კაიცლის უნარი იყო, რომ წელს ავსტრიის პარლამენტმა ასე დამშვიდებით იმუშავაო. ერთის სიტყვით კაიცლი რეალურ პოლიტიკას მისდევდა და გამოჩენილი პროფესორი მასარიკის «რეალისტურ» ჯგუფის მომხრე უფრო იყო, სანამ მლადოჩეხებისა.

ამ მოღვაწის თაობაზე კიდევ მოვიყვანთ ცნობებს, ჯერ-ჯერობით კი უნდა შემდეგი მოვიხსენიოთ: გაზეთები იუწყებიან, რომ კაიცლის მოადგილის შოვნა მეტად გაუჭირდებათ მლადოჩეხებსაო, მისთანას ძნელად თუ გას-

---

*) ზემოდ მოყვანილი დეპეშები დაგვიანებულია.

ეროვნული

წევს ვინმეო. ამბობენ, იქნება მის მაგივრად დოქტორ ენგელი აირჩიონ დეპუტატადაო.

სამხრეთ-აფრიკა. «დეილი ქრონიკლ»-ი ამტკიცებს: კიტჩენერის პროკლამაციას ჯერ აქნობამდე არავითარი ნაყოფი არ მოუტანიაო: პროკლამაციის შემდეგ ბურები უფრო გამწარებით იბრძვიან, ამიტომ ინგლისის ჯარმა ეხლა უფრო ნაკლები ხალხი დაატყვევა, ვიდრე წინად ატყვევებდაო.

✡ კაპშტადტიდან იუწყებიან: ბურებმა კაპის ახალშენში და ნატალში რამდენსამე ადგილას ტელეგრაფის მავთულები გაწყვიტესო. რკინის გზაც დაანგრიეს, მაგრამ ცოტა მანძილზეო. ამბობენ, ქრისტიან დევეტი ამ ჟამად ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთ-საზღვარზე სდგას და დიდს რაზმს აგროვებსო. კრიუცინგერის გაფანტული რაზმიც დევეტის რაზმს შეუერთდაო.

გერმანია. «პარი ნუველ»-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: გერმანიის ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა მიქელმა საუბრის დროს სთქვა: გერმანიის ფინანსიური წესები ახირებული წესებიო. მიქელის აზრით მოკავშირე სახელმწიფოებს მეტად დიდი გადასახადები ერთმევათ იმპერიის ადმინისტრაციის შესანახადო. უფრო სამართლიანი ის იქნებოდა, რომ გერმანიის ხარჯების დასაფარავად საზოგადო სამხედრო გადასახადი დავაწესოთო. მიქელს უთქვამს: ეხლა გერმანიის მოქალაქე პირდაპირ გადასახადს მარტო 5 მარკას იხდის, როდესაც ფრანგი იხდის 72. ეს ამბავი ამტკიცებს, რომ ერთობის გრძნობა კიდევ სუსტია გერმანიაშიო.

ახალ ამბავი

✦ დღეს, 23 აგვისტოს კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს პეტერბურგიდან ტფილისში მოელიან.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალი საიუბილეო დღესასწაულის პროგრამის შემუშავება, დაადგინა; 1) მოაწყონ ილიუმინაცია სამის დღის განმავლობაში —26, 27 და 28 სეკტემბერს. 25-ს არ იქნება ილიუმინაცია, რადგან ამ დღეს გადახდილი იქნება პანაშვიდები რუსეთის იმპერატორებისა. გაჩირაღდნებული იქნება სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ქალაქის სახლი, ალექსანდრეს ბაღი ბარიატინსკის ქუჩის მხრივ, მთების ფერდობები, მთის წვერებზე კი დადგმული იქნება ფისის ბოჭკები. ილიუმინაციის საქმეს მიანდობენ ტფილისის სახაზინო თეატრის დეკორატორს ნოვაკს. 2) ყველა სახლები უნდა დამშვენდნენ ბაირაღებით, ხალიჩებით, ფერად მატერიებით და სხვ. 3) ააგონ ორი კამარა— ერთი ვოკზალთან მეორეც ბარიატინსკის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეზე. ეს საქმე და ქუჩების მორთვა იმავე ნოვაკს მიანდეს; 4) გამართონ ფეიერვერკი მამადავითზე თავად-აზნაურთა ბალის დროს 28 სეკტემბერს; 5) მიართვან მის იმპერატორებით უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძის პურ-მარილი. 6) ხარჯში მონაწილეობა მიიღებენ ქალაქის მცხოვრებთ, როგორც ეს 1888-ში იყო იმპერატორ ალექსანდრე მესამის მოსვლის დროს; 7) გამართონ საუზმე „სობრანიეს" საზაფხულო სადგომში; მოიწვიონ სტუმრები განსაკუთრებულად შედგენილის სიის მიხედვით. გაუმასპინძლდნენ ამქრებს. დაუკრავს დუდუკი, ზურნა და სიმიანი ორკესტრი. ჯარების გამასპინძლების საქმეს მაშინ გადასწყვეტენ, როცა საჭირო ცნობებს მიიღებენ ტფილისის გუბერნიის მარშლისაგან; 8) დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოსვლის დღეს ამქრები დახვდებიან მის უმაღლესობას დანიშნულ ადგილებზე. დღეს გამგეობის სხდომაზე განიხილავენ იმ საკითხს, თუ რითი აღინიშნოს ეს დღესასწაული—უმაღლესს სასწავლებლის დაარსებით, თუ საქველმოქმედო დაწესებულების შექმნით.

✦ გუშინ კოჯრიდან ტფილისში დაბრუნდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე

✦ **სიონისტთა კრება** არც გუშინ შესდგა, რადგანაც თავმჯდომარე ბ. უსიშკინი კიდევ ავად არის.

✦ «პრავიტ. ვესტნიკ.»-ში ვკითხულობთ შემდეგ უმაღლეს ბრძანებას: «ვსცანით რა საჭიროდ **ჭიათურის რკინის გზის** გაგრძელებისათვის დარკვეთიდან საჩხერემდე 35 დესეტინამდე მიწის დაჭერა, ვბრძანებთ: 1) მოხდეს სათანადო განკარგულება აღნიშნულ ადგილების ჩამორთმევისა მესაკუთრეთაგან; 2) მიეცეს მესაკუთრეთ ჩამორთმეული მიწების ფასი, თანახმად ამ შემთხვევებისათვის არსებულ კანონებისა, და 3) რადგანაც რკინის გზის კეთებას ეხლავე უნდა შეუდგნენ, დაიჭირონ აღნიშნული მიწები ამათ აღწერილობის შედგენის შემდეგ თანახმად სამოქალაქო კანონების 594 და 595 მუხლებისა.»

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამგეობამ შეიმუშავა წესი და პროგრამა **მეურნეთა კრებების** გამართვისა საიუბილეო გამოფენის დროს და ითხოვა კიდეც მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან ნებართვა ასეთის კრებების გამართვისა. გამგეობას გუშინ დეპეშა მოუვიდა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის დირექტორისაგან, რომ სამინისტრომ ნება დართო საზოგადოებას მეურნეთა კრებების გამართვისა და რომ ამ კრებების დამტკიცებული პროგრამა და წესი უკვე გამოევზავნა საზოგადოებას.

✦ დღეისთვის დანიშნულია **პედაგოგიური რჩევა** პირველ სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლებისა. განსახილველია წესი ახალის პროგრამის შემოღებისა და მოსწავლეთა ერთის კლასიდან მეორეში გადაყვანისა,

✦ ბ-ნ კარგარეთელსა და კავსაძეს განცხადება შეუტანიათ ტფილისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში, რომ მათის მეთაურობით დაარსებულ იქმნეს **მგალობელთა სამუდამო გუნდი**. როგორც ისინი აცხადებენ, ერთს პატივცემულ პირს აღუთქვამს, თუ იგინი ამ საქმეს დრამატიულ საზოგადოების ხელმძღვანელობით რიგზე დააყენებენ, თვიურად 60 მან. მისცემს, ხოლო იმ პირობით, რომ მათ იგალობონ ხოლმე ქართულად უქმე დღეს იმ ეკკლესიაში, რომელსაც ის მათ უჩვენებთ იმედია, დრამატიული საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს.

✦ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო **გამოფენის გამგე კომიტეტმა** ამ დღეებში გაუგზავნა ცალკე მოწვევის ბარათები გამოფენის გახსნის დროს დასასწრებლად კავკასიის ყველა გუბერნატორებს, ქალაქის მოურავებს, მომრიგებელ შუამავალთ, ხარკის ამკრეფ ინსპექტორებს, კავკასიის დროგამოშვებით გამოცემების რედაქტორებს და გამომცემელთ და სხვა და სხვა საპატიო პირთ.

✦ კავკასიის **სამეურნეო სამრეწველო გამოფენისათვის** უმაღლესად გადადებული 5600 მანეთი ამ დღეებში უკვე მიიღო სამეურნეო საზოგადოების გამგეობამ კავკასიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოსაგან.

✦ **კავკასიის გამოფენის** სანადირო იარაღებისა და სხვა განყოფილების გამგემ ნიკ. ივ. მარქაროვმა განცხადება მისცა გუშინ გამოფენის კამისარს; მარქაროვი ამბობს, რომ, რადგანაც მის განყოფილებაში ბევრი ძვირფასი ნივთეულობა იქნება დაწყობილი და გამოფენის პავილიონი კი ცეცხლის გაჩენის მხრით სულ უზრუნველყოფილი არ არის, ამიტომ კარგი იქნება წარუდგინოს განსახილველად გამოფენის გამგე-კომიტეტს შემდეგი საგნები: წინადადება მიეცეს გუსტავ-ლისტის ფირმას, დასდგას ორთქლის წყლის საქაჩავი მანქანა გამოფენის უმთავრეს შესავალ კარებთან; შუამდგომლობა იქნეს აღძრული გუბერნატორთან, რომ გამოფენის პავილიონთან დაყენებული იქნეს მორიგეობით ცეცხლის მქრობელ რაზმის მოხელეები და დასასრულ შემოღებულ იქმნეს ღამ-ღამობით გამოფენის განყოფილებათა გამგეთა შორის მორიგეობა.

✦ გუშინ **ტფილისის პოლიცმეისტერმა** მიიწვია ქალაქის ყველა ბოქაულები და წინადადება მისცა მათ მოაწყონ ერთმანერთში მორიგეობა გამოფენისა და საიუბილეო დღესასწაულის დროს წეს-რიგის თვალ-ყურის გდებისათვის.

✦ გორიდან დეპეშით გვატყობინებენ: „გუშინ, 21 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე და 20 წამზე სადგურ გორზე საქონლის მატარებელი № 168 გაუშვეს მეორე ლიანდაგზე, სადაც იდგა საქონლის მატარებელი № 167. მატარებლების დაჯახების დროს № 168-ზე მძიმედ დაიჭრა უბილეთო მგზავრი გლეხი გიორგი ნადირაშვილი და სუბუქად დაშავდნენ მემანქანე დულაევი და კონდუქტორები მეტრეველი და კულაკოვი, დაიმსხვრა ხუთი ცალიერი ცისტერნა და დაშავდა ლოკომოტივი. № 167-ს დაუშავდა ორი ნავთიანი ქვაბი და ლოკომოტივი. დაშავებულთ საექიმო შემწეობა აღმოუჩინეს. ლიანდაგზე დაგროვებულია ვაგონები. გამოძიება სწარმოებს".

✦ ნოვობაიაზეთის მაზრის უფროსი სწერს **სამეურნეო საზოგადოების გამგეობას**, რომ აღნიშნულ მაზრაში კანაფის ბაწრის მოთხოვნილებამ საჭიროდ გახადა ერთ-ერთ ადგილობრივ სკოლასთან ისეთის განყოფილების დაარსება, სადაც სპეციალისტი შეასწავლის მოსწავლეთ კანაფის დამზადებას; ამასთანავე მაზრის უფროსი სთხოვს სამეურნეო საზოგადოების გამგეობას უჩვენოს ისეთი პირი, რომელიც მიიღებს თავზე ამ საქმის მოწყობას და აგრეთვე მიაწოდოს ცნობები ამ საქმის მოწყობის ღირებულობისა.

✦ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** მისაღები ეგზამენები დაიწყება 24 აგვისტოდან და გაგრძელდება ამ თვის დამლევამდე; ხელმეორედ ეგზამენები 5 სექტემბრამდე გათავდება და 6-დან უკვე სწავლა დაიწყება. თავისუფალი ადგილი სემინარიის პირველს კლასში 50-მდეა, ხოლო, როგორც გვატყობინებენ, მთხოვნელნი 60 კაცზე მეტია თურმე.

✦ ფინანსთა სამინისტრო მომავალ წელს გახსნის ბევრ სავაჭრო ადგილებში **დაბალ სავაჭრო სკოლებს**; ამგვარ სკოლებს დააარსებენ როგორც ქალაქებში, ისე დიდ სოფლებშიაც.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან საერო განათლების სამინისტროს განზრახვა ეხლანდელ **საქალებო სკოლის ტიპის** შეცვლისა. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები იტყობინებიან, ხსენებულ რეფორმის საქმეს შეუდგებიან მხოლოდ 1903 წელს. მანამდე-კი იმ საქალებო სკოლებში, რომელნიც აწ-დაარსდებიან, შეტანილი იქნება რამდენიმე ცვლილება. რაც შეეხება **პირველ დაწყებით სამინისტრო სკოლებს**, მათთვის დაინიშნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაიწყებს მუშაობას არა უგვიანეს 1902 წლის ზამთრისა. სამინისტროს განზრახვა არა აქვს ამ სკოლებში რადიკალური რეფორმა მოახდინოს. უმთავრესად ყურადღება იქნება მიქცეული ხსენებულ სკოლების მასწავლებელთა განათლებაზედ და მატერიალურ უზრუნველ-ყოფაზედ.

✦ **ტფილისის მოქალაქეთა სამმართველოს** ყოფილს საქმის მწარმოებელს ბ. ამ. ჯილიაევს მიუმართავს თხოვნით ტფილისის საგუბერნიო სამმართველოსათვის, მისცენ მოწმობა მას იმის შესახებ, რომ თუმცა ედიგაროვი 1896 წელს მოქალაქეთა მოურავად არ იყო ამორჩეული, მაგრამ უკანონოდ დაამტკიცებინა თავი ამ თანამდებობაზე ტფილისის საგუბერნიო მთავრობას და რომ მოურავი ედიგაროვი, თანახმად სასჯელთა დებულების მე 354 მუხლისა, სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენის გამო პასუხის გებაში იქმნა მიცემული ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს ქალაქის საქმეთა საკრებულოს ამა 1901 წლის 7 ივლისის დადგენილებით (ეს დადგენილება ჯერ არ გადაუციათ ბრალმდებლისათვის). ჯილიაევს ეს მოწმობა იმიტომ უთხოვნია, რომ ედიგაროვი გადააყენოს ოლქის სასამართლოში მისი საქმის განხილვის დროს, როგორც მოქალაქეთა სამმართველოს წარმომადგენელი.

✦ **ობოლთა სასამართლოს** თავმჯდომარე სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას დაინიშნოს არჩევნები ხსენებულ სასამართლოს წევრებისა.

✦ სათანადო მთავრობას გადაუწყვეტია დააარსოს მოკლე ხანში სხვა-და-სხვა ადგილას **საკრედიტო დაწესებულებანი** განსაკუთრებით წვრილ ვაჭართა და მრეწველთათვის.

✦ ტფილისის **ქალაქის ლომბარდის** გამგე კიდევ სთხოვს ქალაქის გამგეობას 5000 მ. ლომბარდის ოპერაციებისათვის.

✦ ვიღაც ვართანოვმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი გაანათებს ზოგიერთ ქუჩებს მექანიურად მბრუნავ ფარნებით ქალაქისათვის ხელმისაწვდენ ფასად.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობას მსჯელობა ჰქონდა **საფიშო ბოძების** დადგმაზე ქალაქში. ამ საქმისათვის ქალაქს გადადებული აქვს 2,862 მ. გამგეობამ არ მოიწონა ტეხნიკ შახნაზაროვის პროექტი საფიშო ბოძებისა სიძვირის გამო. ამისთანა ბოძს დადგამენ მხოლოდ ხუთ ადგილას.

✦ გუშინ-წინ ნავთლუღის საბალახოზე თათრებმა მოსტაცეს ნავთლუღში მცხოვრებ დარჩო გალუსტოვს ორი ხარი. ამ ბოლოს დროს ქალაქის საბალახოებზე ერთობ გახშირდა ქურდობა.

პრესსა

„პეტერბურგსკია ვედომოსტი"-ს 17 აგვისტოს ნომერში (№ 224) დაბეჭდილია ბ. დურნოვოს წერილი საპასუხოდ იმ «გრუზინისა", რომელმაც ამას წინათ ყოვლად ყალბი და უსინიდისო ინსინუაციებით აღსავსე წერილი დასტამბა. დურნოვოს წერილი მეტად თავდაჭერილად არის დაწერილი, მაგრამ იგი მით უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, იმდენათ საბუთიანი და ჭეშმარიტ, უტყუარ ფაქტებზეა იგი აგებული. ეს ფაქტები აქ ვერ მოგვყავს. მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რომ დურნოვოს უკვირს, თუ „გრუზინი" (ქართველი), რომელმაც თავის ქვეყნის გარემოება უნდა იცოდეს, სწერს ასეთ ყოვლად ყალბ საბუთებზე აგებულ წერილებს. ბ. დურნოვომ რომ იცოდეს, თუ რა „სიმართლის მოყვარეობა"-მ აალაპარაკა „გრუზინი", არა გაუკვირდებოდა-რა ასეთის კაცისაგან. აღსანიშნავია აგრეთვე ამ ფრიად საყურადღებო წერილის ბოლოც:

> „თუ პეტერბ. ვედომოსტი"-ს რედაქციამ დაბეჭდა „გრუზინის" წერილი, ეს იმის ნიშანია, რომ გაზეთი მიუდგომელია და სურს გაიგოს, რომელ მხარეს არის სიმართლე? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „პეტერბ. ვედომ". მონახავს ამ სიმართლეს: თვითონ ქართველები გამოამჟღავნებენ თავიანთ თანა-მამულის სიმართლის მოყვარეობას და ფაქტებით მთელის რიგით დაუმტკიცებენ მას, რამდენი სიმართლეა მის პასუხში. იგი მათი თანა-მემამულეა, უფრო ახლოა მათთან, ვიდრე ჩვენთან. (ღმერთმა დაგვიფაროს ასეთის „მახლობელისაგან").

ვურჩევთ ყველას წაიკითხონ ეს წერილი, იქ ბევრი ისეთი ფაქტებია მოყვანილი, თუ წარსულიდან, თუ თანამედროვე ცხოვრებიდან, რომ დარწმუნებული ვართ, მკითხველ საზოგადოების მეხუთედმაც არ იცის.

⁂

ჩვენ არავითარ საშუალებას არა ვზოგავთ ერთმანეთის დამცირებისათვის. ეს ერთმანეთის დამცირების სურვილი საზოგადოე-

ბრივ ასპარეზზედაც გამოვიჩინეთ. ერთი დაწესებულება მეორეს ეჯიბრება, ერთი გაზეთი მეორეს უთხრის სამარეს. ნაცვლად შეთანხმებულ მოქმედებისა, ჩვენ წვრილმან ანგარიშებს ვუწევთ ერთმანეთს. წაიკითხეთ თუნდ დარბაისელ „ივერიის" კვირის ფელეტონი.

„სალიტერატურო განყოფილებაში იქმნება გამოფენილი რობერტ სტიგელის ქანდაკება,—ამბობს „ივერია" გამოფენის შესახებ·—ამ ქანდაკებაზე გამოყვანილია თურმე ჩვენი რაჭველი მუშა, რომელსაც ზურგზე უშველებელი ტომარა ჰკიდია და ტომარაზე კიდევ ორ-პირად გატენილი ხურჯინი ადევს. საბრალო მუშა წელში შვიდად მოკაკულია და მიკნავებულის ხმით გასძახის: „გვიშველეთ, ვიღუპებითო"! მუშას ზედ აწერია „ცნობის ფურცელი", ტომარას—„მოამბე" და ხურჯინს—„სურათებიანი დამატება".

ასე ოხუნჯობს დარბაისელი „ივერია". მხოლოდ ამ ოხუნჯობაში უმზგავსად გამოიყურება ქართველური შურიანობა, სურვილი ფეხის გამოდებისა და დამცირებისა. „ივერია"-ს წინდახედულობა რომ ჰქონოდა, უნდა გაეგო, რომ ამ გვარის იარაღით ის უფრო თავის თავს ავნებს, ვიდრე სხვას.

⁂

აი რას ვკითხულობთ ერთ რუსულ გაზეთში:

„ივლისის პირველ რიცხვებში, კიევის ერთი ექიმი ლ. ბროდსკი, ტომით და სარწმუნოებით ებრაელი, ოჯახით საგარაკოდ წავიდა ს. სვიატობინში, სადაც ებრაელებს უფლება არა აქვთ იცხოვრონ, რადგან სვიატობინი სოფელია. ბროდსკის ეგონა, რომ მას, როგორც ექიმს, ყველგან ცხოვრების უფლება ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ მას არ აუღია განსაკუთრებული ნება რთვა ადმინისტრაციისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ ბროდსკისთან სვიატობინში მივიდა ადგილობრივი პოლიციის მოხელე და გამოუცხადა ან ეშოვნა განსაკუთრებული ნებართვა, ანა და წასულიყო სვიატობინიდან, თუ მას არ სურდა, რომ იგი ადმინისტრატიულის წესით გაედევნათ. რადგან ბროდსკი პოლიციის მოხელის წინადადებას უკანონოდ სთვლიდა, არ მიიღო იგი და დარჩა აგარაკზე. 8 ივლისს ისევ მივიდა ბროდსკისთან პოლიციის მოხელე, გამოუცხადა მას, რომ იგი დაპატიმრებულია და ეტაპით გაგზავნა სვიატობინიდან ს. დემიევის სასოფლო სამმართველოში. აქედან იგი გაგზავნეს პოლიციელის ზედამხედველობით კიევში. რამდენიმე დღის შემდეგ კიევში გამოგზავნეს ბროდსკის შვილებიც, რომელთაგან ერთი დიდ სიცხეში იყო და საწოლი არ უნდა მიეტოვებინა. ბროდსკიმ საჩივარი აღძრა პოლიციის ამგვარ მოქმედების გამო.

ჩვენ არ ვიცით, რითი გათავდება ბ. ბროდსკის საჩივარი და ეს არც იმდენათ საინტერესოა. საინტერესო და ჩამაფიქრებელი აქ ის გარემოებაა, რომ მეოცე საუკუნეში შესაძლებელია ამგვარი მოვლენანი. ბროდსკი რომ იქვე სვიატობინში მონათლულიყო, მას ხელსაც არავინ ახლებდა. გამოდის, რომ ბროდსკი ებრაელი, რომელსაც დევნიან აგარაკად სოფელში წასვლისათვის, ერთის საათის განმავლობაში ხდება ღირსი იმავ აგარაკში ცხოვრების უფლების შეძენისა. საშუალო საუკუნოები მაინც და მაინც შორს არ ყოფილა მეოცე საუკუნიდან.

წერილი რედაქციის მიმართ

ოზურგეთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გამართული იყო 5 ივლისს წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „არსენა" თხუზ. ყაზბეგისა და „შეშლილის წერილები" გოგოლისა.

წარმოგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, რადგან სამკითხველოს სასარგებლოთ იყო.

წარმოდგენიდან ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 48 მ. და 90 კაპ. ოზურგეთისთვის ეს პატარა არ არის, მეტადრე ამისთანა დროს (სხვა და სხვა მიზეზებისა გამო უფრო კარგ დროს არ მოხერხდა წარმოდგენის გამართვა).

აქედან დაიხარჯა 10 მანათი არტისტების სასყიდლად, 2 მ. და 50 კ. სახლის ქირა, 2 მან. აფიშის დასაბეჭდათ, 50 კ. აფიშების გამკვრელს. 60 კ. ბენგალის ცეცხლი და 40 კ. წერილებისა, სულ 16 მანათი. წმინდა შემოსავალი დარჩა 32 მანეთი და 90 კაპ.

მადლობას ვწირავ სტუდენტს შალვა შარაშიძეს, რომელმაც წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა უსასყიდლოთ და თავის ნიჭიერ და მოხდენილ თამაშობით საზოგადოება ძრიელ ასიამოვნა (ასრულებდა არსენას როლს და ბოლოს შეშლილის წერილები წაიკითხა).

დიდ მადლობას ვწირავ აგრეთვე იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს სამკითხველოს ფულით და წიგნებით:

ნინა ნაკაშიძისამ შემოსწირა სამკითხველოს 6 რუსული წიგნაკი და შემდეგშიაც აღგვითქვა შემწეობა.

ივანე ალ. ურუშაძემ—12 რუსული წიგნი და ერთი ქართული.

მელიტონ ურუშაძემ გადმომცა ქუთაისის ნოქრების შეგროვილი 12 მანათი და ორი ქართული წიგნი, აი ამათი სიაც:

სიმონ ფ. ურუშაძემ 2 მანათი ფული და ორი ქართული წიგნი. ტიმოთე ი. ანაკამ 1 მან. ევგენი ს. თურქიამ 1 მან. ალექსანდრე ს. ლვინჯილიამ 1 მან. სერაპიონ მ. მიმინაიშვილმა 1 მან., გიორგი შევ. წიტაიშვილმა 2 მან., ისაკი გრ. თალაკვაძემ—2 მან. დ კონსტანტინე პ. არობელიძემ 2 მან., ვსთხოვთ ჩვენ საზოგადოებას ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ჩვენი ღარიბი წიგნთსაცავ-სამკითხველოსათვის ფულით იქნება თუ წიგნებით, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ ოზურგეთის ერთად-ერთ სულიერ საუნჯეს.

არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ ოზურგეთის ვაჭრებმა მეტი თანაგრძნობა გამოიჩინეს სამკითხველოსადმი, ვიდრე ოზურგეთის ინტელიგენციამ: ორ მესამედზე მეტი ვაჭრებია სამკითხველოს წევრებათ.

გამგე სამკითხველოსი **სამსონ გაშაყმაძე.**

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

22 აგვისტო.

პენზა. ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად ფინანსთა მინისტრიის უქვეშევრდომილესის მოხსენებისა, კეთილ ინება და ბრძანა გადაიდოს 10.000 მანეთი ქალაქ პენზის იმ მცხოვრებთა დასახმარებლად, რომელნიც ცეცხლმა დააზარალა.

პეტერბურგი. გამოცხადდა სახალხო კითხვების ის წესები, რომელთაც მართავენ ლოთობის საწინააღმდეგო სამზრუნველოები.

რადგანაც დედოფალ მარიამის დაწესებულებათა გამგე გენერალ-ადიუტანტი გრაფი პროტასოვ-ბახმეტიევი პეტერბურგიდან წავიდა, მისის თანამდებობის აღსრულება მიენდო მის ამხანაგს სენატორს კაუფმანს.

21 აგვისტოს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე ბორჯომს გაემგზავრა.

დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის შვილებით გატჩინოდან ყირიმში წავიდნენ.

ნოვოჩერკასკი. დიდის ხნის გვალვის შემდეგ დღეს წვიმა მოვიდა; აცივდა.

სოფია. საერო კრება შეუდგა იმ ბრალდების განხილვას, რომელიც ედება მინისტრებს; ბრალდებულთაგანი არავინ გამოცხადებულა. კარაველოვი თხოულობს, რომ საქმე ბეჯითად გაირჩეს... ზოგიერთი დეპუტატი თხოულობს, რომ მთელი სამინისტრო და პაპრიკოვიც სამართალში იქმნენ მიცემულნი. სტამბულოვის მომხრე პეტროვი ეწინააღმდეგება ამ წინადადებას. ამ საქმის გამო კენჭის ყრას ხვალ მოელიან.

ვენა. ჰერცოგის ევგენი მაქსიმილიანის ძის ლეიხტენბერგის გარდაცვალების გამო გამოცხადდა 8 დღის მგლოვიარობა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება დეპეშით: „ბრიტანიის სხვა-და-სხვა რაზმების მოხსენების თანახმად, ცამეტ აგვისტოს აქეთ 19 ბური მოჰკლეს, 3 დასჭრეს, 212 დაატყვევეს, 127 ბურმა თითონ გამოაცხადა დამორჩილება. ბურებს წაართვეს 194 თოფი, 25,760 პატრონა, 144 ფურგუნი, 1700 ცხენი, 7500 სული საქონელ და დიდ-ძალი სურსათი".

ფრიდენსბურგი. ინგლისის მეფე კვირას შუადღისას გემ „ოსბორნით" გელსინგერში მობრძანდება; გემს ინგლისის ორი სხვა გემი ახლავს.

პეტერბურგის ბირჟა 21 აგვისტოს.

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00
ბერლინზე 100 მარკაში	$46{,}02^{1}/_{2}$
პარიზზე 100 ფრანკში	$37{,}32^{1}/_{2}$
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	$37{,}52^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5^{1}/_{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$450^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$347^{1}/_{2}$ მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$238^{1}/_{4}$ „
$3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ, ფურცლ	90 გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5%გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო
სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (ნატარიუსს ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (სლესრობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავთ დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნდებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისთვის დაწესებული ტანსაცმელი—ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. (5—1)

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

დაარსდა ქალაქ ტფილისში

პირველი ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—23)

16-14
20
57

დილიჟანების მიმოსვლა ქარელსა და ცხინვალს შორის

პატივისცემით ვაუწყებ საზოგადოებას, რომ 15 მარიამობისთვიდან ჩვენი დილიჟნები ივლიან ქარელსა და ცხინვალს შორის დღეში **ორჯელ**: ქარელიდან მიდის დილით 12-ზე და საღამოთი 6 საათზე; ცხინვალიდან გამოდის დილის 7-ზე და ნაშუადღევის 1 საათზე. ფასი კაცის თავზე 80 კაპ.

(5—2)

აბელ კალატოზიშვილი

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**", თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.